ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 210
02/05/2018

210-07-3-201805021250

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ, ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 მაისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №9– 2(ორი) ფურცელი
დასკვნა №9– 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ.ლანჩხუთი **01.05.2018.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: დავით ჩხარტიშვილი, აკაკი იმნაიშვილი, თორნიკე ტიკაძე და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის გამოეყო 3200000 ლარი აქედან I ეტაპზე 271741 ლარი მიიმართოს ფიზიკური პირების დაზიანებული სახლების სახურავების და ელ-გაყვანილობის მასალების შეძენისათვის 209415 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ შენობის სახურავის შეცვლაზე 42649 ლარი, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის და ფასადის აღდგენაზე 19677 ლარი. ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული 25608 ლარი და გაუნაწილებელი 2928259 ლარი, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 23.04.2018 წლის 472 წერილის თანახმად მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: გზების რეაბილიტაციაზე 1499964 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 370736 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 1071045 ლარი, წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე 12122 ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის ხარჯი გაიზარდოს 80000 ლარით. ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „იავნანა"-ს დაფინანსება გაიზარდოს 1700 ლარით, სოც:კულტურული ღონისძიებების ხარჯი გაიზარდოს 54600 ლარით, მათ შორის არტ გენის ფესტივალის ჩატარებისათვის გამოეყოს 24600 ლარი, შემოქმედთა წახალისებისათვის 1000 ლარი და ტრანსპორტირებისათვის 1000 ლარი, გურიის ტურიზმის განვითარებისათვის 28000 ლარი. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუფსიდირება გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის

დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრის დაფინანსება 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხთუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის გურიას დავალიანების დაფარვის მიზნით გამოეყოს 40000 ლარი, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით (ჩიბათის საფეხბურთო გუნდის ფუნქციონირებისათვის). აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს არაფინანსური აქტივების კლების მუხლის 213300 ლარით ზრდის ხარჯზე. მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 5000 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 2000 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 01.05.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

2018 წლის 1 მაისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

01.05.2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 58	
2	თორნიკე ტიკაძე	14 59	
3	გიორგი ჩახვაძე	14 57	
4	დავით ჩხარტიშვილი	14 54	
5	ამირან გიგინეიშვილი	ar ესწრებოდა	
6	იოსებ ჩხაიძე	ar ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	14 55	
8	ზურაბ კუკულავა	ar ესწრებოდა	